საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/64
20/05/2022

ბრძანება

64-01-4-202205201527

შპს „ანაგს“ (ს/კ 245416401) და შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ (ს/კ 406249625) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება შპს „ანაგს“ (ს/კ 245416401) და შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ (ს/კ 406249625) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ თანდართული სახით;
2. შპს „ანაგს“ (ს/კ 245416401) და შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ (ს/კ 406249625) შორის განხორციელებული კონცენტრაციის მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს;
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „ანაგს“ (ს/კ 245416401) და შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ (ს/კ 406249625) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების სააგენტოსთვის შეუტყობინებლობის შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ 2021 წლის 17 ნოემბერს შპს „ანაგის“ (ს/კ 245416401) მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ (ს/კ 406249625) 50%-იანი წილის შეძენა სავარაუდოდ ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას. კერძოდ, განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის N39-ე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს წლიური ბრუნვის ნაწილში.

2022 წლის 25 იანვარს სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება[1]. კონცენტრაციის მონაწილე მხარეებს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ეთხოვათ განხორციელებულ კონცენტრაციასთან დაკავშირებით პოზიციების სააგენტოში წარმოდგენა.

შპს „ანაგის“ (შემძენი) მიერ სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით,[2] კონცენტრაციის განხორციელებამდე, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ოპერირებდნენ სხვადასხვა შესაბამის ბაზრებზე. შემძენის მიერ, კონცენტრაციის სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელების მიზეზად დასახელდა სათანადო ინფორმაციის არქონა აღნიშნული ვალდებულების არსებობის შესახებ და გამოითქვა მზადყოფნა, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტოსთან თანამშრომლობის მზადყოფნის შესახებ.

შემძენის განმარტებით, განხორციელებული კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენდა შპს „ანაგის“ მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ ეკონომიკური აქტივობის შედეგად გასანაწილებელი მოგების მიღება, ხოლო შპს „ჯი თი სი თრეიდინგისთვის“ - წილის საზღაურის მიღება და შპს „ანაგის“ მონაწილეობით საფინანსო ინსტიტუტებიდან დამატებითი საკრედიტო რესურსის მოზიდვა და ამით კომპანიის მოგების ზრდა.

[1] ბაზრის მონიტორინგის და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2022 წლის 25 იანვრის N03/10 მოხსენებითი ბარათი.

[2] შპს „ანაგის“ 2022 წლის 9 თებერვლის 01/251 წერილი.

შემძენის მიერ სააგენტოში არ წარმოდგენილა ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა რომ განხორციელებული კონცენტრაცია ექცეოდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11[2] მუხლით განსაზღვრულ გამონაკლისებში.

შემძენის მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა პოზიცია, რომ შპს „ანაგის“ მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ 50%-იანი წილის შეძენა არ წარმოადგენს კონცენტრაციას, გამომდინარე იქიდან, რომ არ ხდებოდა ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვება. კერძოდ:

ა) შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ წესდების ახალი რედაქციის მიხედვით, კომპანიის დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება, პროკურის გაცემა გამოთხოვა, საკადრო პოლიტიკა და სახელფასო ფონდი მიეკუთვნებოდა შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ ერთპიროვნულ კომპეტენციას. შესაბამისად, შპს „ანაგს“ არათუ კომპანიის მმართველი ორგანოების წევრთა უმრავლესობის დანიშვნის საშუალება არ ჰქონდა, არამედ, საერთოდ არ მონაწილეობდა კომპანიის მართვაში;

ბ) შპს „ანაგი“ არ ფლობდა შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ საოპერაციო აქტივებს;

გ) შპს „ანაგი“ არ იყო შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, არც ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

დ) შპს „ანაგს“ არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ხმის უფლება შპს „ჯი თი სი თრეიდინგის გარიგებებზე.

შემძენის პოზიციით, აღნიშნული გარემოებები მნიშვნელობას იძენდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ წილის შეძენა მოხდა ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვების გარეშე;

შემძენის მიერ სააგენტოში ასევე წარმოდგენილ იქნა შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ წესდება და შპს „ანაგს“ და შპს „ჯი თი სი ჯგუფს“ შორის გაფორმებული წილის დათმობის ხელშეკრულება.

შპს „ანაგმა“ სადავოდ გახადა განხორციელებული ტრანზაქციის კონცენტრაციად მიჩნევის საკითხი იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მისი მხრიდან წილის შეძენა არ წარმოადგენდა კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტში მითითებული კონტროლის არც ერთ სახეს. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სააგენტომ არ გაიზიარა შემძენის პოზიცია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:[3]

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტში მოცემული ტერმინი არის კონტროლის ზოგადი განმარტება და კანონის ნორმების გათვალისწინებით, მხოლოდ ამ ფორმით, იგი ვრცელდება კანონში მოცემულ ისეთ შემთხვევებზე, სადაც დამატებით არ ხდება კონტროლის სხვა სპეციალურ შემადგენლობაზე მითითება (მაგალითად, ამავე მუხლში მითითებული ურთიერთდამოკიდებული პირების კვალიფიკაციაზე).

მეორე მხრივ, <u>კონცენტრაციის მიზნებისათვის,</u> კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს დათქმას, რომ კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენება ის უფლებები, ხელშეკრულებები ან სხვა საშუალებები, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთად ქმნის ეკონომიკურ

[3] 2022 წლის 22 თებერვლის N04/13 ბრძანება „საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოსთვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების სააგენტოში წარმოუდგენლობის გამო შპს „ანაგისთვის“ (ს/კ 245416401) ჯარიმის დაკისრების თაობაზე“.

აგენტზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას - რაც შეიძლება გამოხატული იყოს წილის ფლობით, მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე, ხმის უფლებასა და გადაწყვეტილებაზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობით. ამდენად, კონცენტრაციის მიზნებისათვის, კომპანიის მართვაში მონაწილეობა არ გამოიხატება მხოლოდ მმართველი ორგანოს წევრთა უმრავლესობის დანიშვნის ან საოპერაციო აქტივების ფლობის უფლებით.

ამდენად, იმისათვის, შპს „ანაგის“ მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ წილის შეძენა რომ დაკვალიფიცირებულიყო კონცენტრაციად, აუცილებელი იყო შეფასება, თუ რამდენად აძლევდა შემძენს ეს წილი შპს „ჯი თი სი თრეიდინგზე“ არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. ამ მიზნით, სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა მხარეთა შორის 2021 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული წილის დათმობის ხელშეკრულება და კომპანიის წესდება (2021 წლის რედაქცია). კერძოდ, დადგინდა, რომ:

- შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ წესდების მე-5 მუხლის შესაბამისად, კომპანიის მართვა ხორციელდება პარტნიორთა კრებისა და დირექტორატის მეშვეობით. კონცენტრაციის შემდეგ, შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ ჰყავს ორი მმართველი პარტნიორი - თანაბარი 50%-იანი წილით. თავის მხრივ, კომპანიის კაპიტალის წილის 1% უდრის 1 ხმას პარტნიორთა კრებაზე (მუხლი 2);
  შესაბამისად, შპს „ანაგის“ - როგორც 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის ხმის უფლება გადამწყვეტია, ყველა იმ საკითხის გადასაჭრელად, რომელიც კანონმდებლობითა და საწარმოს წესდებით მიეკუთვნება პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას;
- მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას, რაც შპს „ანაგს“, როგორც შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ 50%-იანი წილის მფლობელს უკრძალავს ან ართმევს კანონმდებლობით საწარმოს პარტნიორისთვის მინიჭებულ უფლებებს;
- წესდების 9.5. პუნქტი ითვალისწინებს, რომ შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ აქვს დირექტორის დანიშვნის და კომპანიის საკადრო პოლიტიკის და დამტკიცებული ბიზნეს გეგმის გათვალისწინებით სახელფასო ფონდის განსაზღვრის უფლება. მეორეს მხრივ, ამავე წესდების მე-9 მუხლის 1-4 პუნქტები ითვალისწინებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც ხდება პარტნიორთა კრების მიერ ერთობლივად ან 50%-იანი ხმის უფლებით. კერძოდ - წესდების ცვლილება, რეორგანიზაცია, ბიზნეს გეგმების შედგენა (რომლითაც შემდგომში ხელმძღვანელობს დირექტორი), სამეურნეო საქმიანობის დაწყება/შეწყვეტა, კაპიტალის გაზრდა ან შემცირება, იმ უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოების დაფუძნებიდან ან მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორს მიმართ და სხვა.

ამდენად, ცალსახა იყო, რომ შპს „ანაგი“, როგორც საწარმოს მმართველობითი ორგანოს - პარტნიორთა კრების მნიშვნელოვანი 50%-იანი ხმის უფლების მქონე პარტნიორი, მონაწილეობს პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში და შესაბამისად, საწარმოს მართვაში (რაც მხოლოდ დირექტორის დანიშვნის უფლებაში ვერ იქნება გამოხატული), ყოველივე ეს კი, აკმაყოფილებდა კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ განმარტებას კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის მოპოვების თაობაზე.

შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, შპს „ანაგის“ მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ 50%-იანი წილის შეძენა, როგორც ტრანზაქცია, კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის,

წარმოადგენდა კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კონცენტრაციას, რადგან ადგილი ჰქონდა შემძენის მიერ მეორე საწარმოზე კონტროლის მოპოვებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 22 თებერვლის N04/13 ბრძანებით, შპს „ანაგის“ (ს/კ 245416401) მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ (ს/კ 406249625) 50%-იანი წილის შეძენით განხორციელებული კონცენტრაცია მიჩნეულ იქნა სააგენტოს მიერ სავალდებულო განხილვის გარეშე განხორციელებულად. შპს „ანაგს“ (ს/კ 245416401) დაეკისრა ჯარიმა 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით - ასევე, შპს „ანაგს“ დაევალა, 21 კალენდარული დღის ვადაში განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კანონმდებლობით დადგენილი სახით სააგენტოში წარმოდგენა.

2022 წლის 21 მარტის N01/507 წერილით, სააგენტოში შპს „ანაგის“ მიერ წარმოდგენილ იქნა შეტყობინება - შპს „ანაგს“ და შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ შორის განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ. შეტყობინება, 2022 წლის 31 მარტის N01/649 წერილით წარმოდგენილ დამატებით მასალებთან ერთად, შეიცავს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ, კერძოდ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები, მათ შორის შესაბამის ბაზარზე მოქმედი კომპანიები, ასევე - ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე, 2020 წლის წლიური ბრუნვები;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა; მეთოდოლოგია, რომლითაც იხელმძღვანელეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას; უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს-გეგმა; ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული;
- შეტყობინებას დანართის სახით თან ახლდა - კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტების ამსახველი სქემა/დიაგრამა, ინფორმაცია 2020 წლის განმავლობაში წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული ძირითადი საქონლის/მომსახურების შესახებ, ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების შესახებ.

1. ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

შპს „ანაგის“ საქმიანობის სფეროა საქართველოს ბაზარზე მომსახურების გაწევა - როგორც საცხოვრებელი, ასევე საზოგადოებრივი და სამრეწველო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიმართულებით. ეკონომიკური აგენტის მიერ 2020 წელს (კონცენტრაციის

განხორციელების წინა ფინასური წელი) მიღებული შემოსავლის საერთო მოცულობა შეადგენდა [redacted] ლარს.

შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ საქმიანობის სფეროა საქართველოს ბაზარზე სამშენებლო-საყალიბე და უსაფრთხოების სისტემების რეალიზაცია. ეკონომიკური აგენტის მიერ 2020 წელს მიღებული შემოსავლის საერთო მოცულობა შეადგენდა [redacted] ლარს.

2. კონცენტრაციის ფორმა:

განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინება შეეხება შპს „ანაგის“ მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ 50%-იანი წილის შეძენას. კონცენტრაციის მიზანია შპს „ანაგის“ მიერ შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ ეკონომიკური აქტივობის შედეგად გასანაწილებელი მოგების (დივიდენდის) მიღება, ხოლო შპს „ჯი თი სი თრეიდინგისთვის“ - შპს „ანაგის“ მონაწილეობით საფინანსო ინსტიტუტებიდან დამატებითი საკრედიტო რესურსის მოზიდვა და ამით კომპანიის მოგების ზრდა.

3. კონცენტრაციის მხარეები:

შპს „ანაგის“ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ნანა არუშიძე (პ/ნ [redacted]);

შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ 100%-იანი წილის მფლობელს კონცენტრაციამდე წარმოდგენდა შპს „ჯი თი სი ჯგუფი“ (ს/ნ 405324947).

კონცენტრაციის მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული აგენტებს წარმოადგენენ:

შპს „ანაგი“:

- შპს „ანაგი-ბათუმი“ (ს/ნ 245620920)
- შპს „ანაგი განათლება“ (ს/ნ 404596200)
- შპს „ანაგი-მექანიზაცია“ (ს/ნ 445423587)
- შპს „ლუგო“ (ს/ნ 245546681)
- შპს „ანაგი ჰოტელ დეველოპმენტ“ (ს/ნ 405311265)
- შპს „მწვანე კონცხი-ბოტანიკო“ (ს/ნ 404600339)

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“:

- შპს „ჯი თი სი ჯგუფი“ (ს/ნ 405324947)

ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიებიდან შესაბამის ბაზარზე ფუნქციონირებენ:

სამშენებლო ბაზარზე:

- შპს „ანაგი-ბათუმი“ (ს/ნ 245620920)
- შპს „ანაგი ჰოტელ დეველოპმენტ“ (ს/ნ 405311265)
- შპს „მწვანე კონცხი-ბოტანიკო“ (ს/ნ 404600339)

ბოლო 3 წლის განმავლობაში კომპანიებს არ შეუძენიათ წილები ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან.

შემძენის ინფორმაციით, კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე გაიზრდება სამშენებლო-საყალიბე და უსაფრთხოების სისტემების შეთავაზება და ხარისხი, ადგილი არ ექნება კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე კონკურენციის რაიმე ფორმით შეზღუდვას. ამასთან, კონცენტრაციამ დადებითად იმოქმედა შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ მიერ დამატებითი საკრედიტო რესურსების მოზიდვაში, რის ხარჯზეც გაიზარდა კომპანიის სარეალიზაციო პროდუქციის იმპორტი, მარაგი და ზოგადად არჩევანი ბაზარზე.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებასა ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11^1 მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების

პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;

5. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენის, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირს;

6. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;

7. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის

გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;

8. კანონის 11[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
9. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11[1] მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
10. კანონის 11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
11. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი.
12. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს;
13. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III. ბაზრის ანალიზი

1. შესაბამისი ბაზარი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა ის საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

შეტყობინების მიხედვით, შპს „ანაგი“ ახორციელებს საქართველოში როგორც საცხოვრებელი, ასევე საზოგადოებრივი და სამრეწველო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობას, ხოლო შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“ - სამშენებლო-საყალიბე და უსაფრთხოების სისტემების რეალიზაციას. ასევე, შეტყობინებიდან ირკვევა, რომ 2020 წლის განმავლობაში შპს „ანაგმა“ განახორციელა [redacted] ლარის სამშენებლო მასალების რეალიზაცია, რაც მისი მთლიანი ბრუნვის ([redacted] ლარი) [redacted]%-ს შეადგენს, ხოლო შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ მთლიანი ბრუნვა ([redacted]) შედგება სამშენებლო-საყალიბე მასალებისა და უსაფრთხოების სისტემების რეალიზაციისაგან. მხარეები არ ახორციელებენ ურთიერთჩამანცვლებელი პროდუქციის მიწოდებას, თუმცა შემძენი ახორციელებდა სამშენებლო-საყალიბე პროდუქციის შეძენას გამსხვისებლისგან. წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“ არის შპს „ანაგის“ 309 მომწოდებლიდან ერთ-ერთი, ხოლო შპს „ანაგი“ არის შპს „ჯი თი სი თრეიდინგის“ 344 შემყიდველიდან ერთ-ერთი (სამშენებლო-საყალიბე პროდუქციის ნაწილში).

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მხარეები მოქმედებენ სხვადასხვა შესაბამის ბაზრებზე და არსებობს მხოლოდ მცირე კვეთა ვერტიკალური თვალსაზრისით, განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესწავლის მიზნისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თითოეული კომპანიის პროდუქციის/მომსახურების ასორტიმენტის გათვალისწინებით შესაბამისი ბაზრის/ბაზრების პროდუქციული ჩარჩოს ინდივიდუალურ განსაზღვრას. შესაბამისად, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ევროკომისიის გამოცდილების გაზიარება[4] - მსგავს შემთხვევებში შესაბამისი ბაზრის დეტალური განსაზღვრის საკითხის ღიად დატოვების შესახებ.

[4] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m2529_en.pdf

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება გამოხატული სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

2. ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

კონცენტრაციის შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების შესახებ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, სააგენტომ არ ჩათვალა მიზანშეწონილად ბაზრის მოცულობისა და კონცენტრაციის ინდექსის გამოთვლა, რადგან მხარეები მოქმედებენ სხვადასხვა შესაბამის ბაზრებზე და უმნიშვნელოა ვერტიკალური კვეთა კონცენტრაციის მონაწილე მხარეების შემსყიდველი და მომწოდებელი ეკონომიკური აგენტების გათვალისწინებით.

სააგენტოს დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „ანაგს“ და შპს „ჯი თი სი თრეიდინგს“ შორის განხორციელებული კონცენტრაცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.